ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2998138

ნომერი: AR1456080

თარიღი : 13.11.2016

გაცემის თარიღი : 14.12.2016

გაცნობის თარიღი : 14.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N51გ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 ; ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N51 ; ქალაქი თბილისი , სანაპირო კოსმონავტების , N 49 ; ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N45 ; ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N43 ; ქალაქი თბილისი , გამომცემლობა "სამშობლო"-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გამომცემლობა "სამშობლო"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , სანაპირო კოსმონავტები , N 37 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 , (ნაკვეთი N4/139) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 27ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383
- თბილისი ლ.ბოცვაძის ქ. N 14

ორგანიზაცია:

- გეითვეი ჰოლდინგი კოდი: 204531499

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, კოსმონავტების სანაპიროზე (ს/კ N01.13.05.004.058, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.057, N01.13.05.004.142, N01.13.05.004.173, N01.13.05.004.190, N01.13.05.004.213, N01.13.05.004.232, N01.13.05.004.139, N01.13.05.004.137, N01.13.05.004.234,) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ:

- სამსახურში შემოსული შეტყობინებებიდან და ელექტრონული განცხადებიდან (AR1463305 12/12/2016წ) გამომდინარე გაურკვეველია დამკვეთის, განმცხადებლისა და არქიტექტორის უფლებამოსილებები. შესაბამისად, საჭიროა დადგენილ იქნეს შესაბამისი პიროვნებების უფლებამოსილებები წარმოდგენილ განცხადებასთან მიმართებაში. ასევე, საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ წარმოადგინოთ შესაბამისი პირების თანხმობა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით;

- ასევე, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების დასაკორექტირებელი გეგმის უფლებრივი ზონირების დეტალური სავალდებულო რუკა შესაბამისი სათაურით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან;
თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია;
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა;
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება;
თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ;
განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოსადგენად გეძლევათ 15 დღე.
გაითვალისწინეთ, რომ დადგენილ ვადაში დოკუმენტაციის/ან სხვა ინფორმაციის წარმოუდგენლობის ან არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.